27 (8 იანვარი) დეკემბერი 1868. № 52. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲖᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

Გაგზავნით ტფილისში
და გარეშე ადგილებში: Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან,
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ:

ტფილისში „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔ
1869 ᲬᲔᲚᲨᲘ.

1869 წელს გაზეთი „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც წარსულს წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემელის ხელში.

ᲮᲔᲚᲛᲝᲡᲐᲬᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ:

Გაგზავნით ტფილისში
და გარეშე ადგილებში Გაუგზავნელათ
ერთის წლისა . . . . . 7 მანეთი — 6 მანეთი.
ნახევარის წლისა. . . . . 4— — —3—50 კაპ.
სამის თვისა . . . . . 2—50 კ.—2—

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ 1869 წელს გამოვა კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით.

მომავალ წლის „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ პირველ ნომრებიდგან დაიწყება ბეჭდვა სტატიისა: **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ,** ისტორიული მიმოხილვა, დ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡᲐ. აგრეთვე დაიბეჭდება სხვა და სხვა მოკლე ისტორიული და გეოგრაფი სტატიები, რომელნიც შეეხებიან განსაკუთრებით ჩვენს მხარეზე.

ამას გარდა მომავალ წლის „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ხილის მომწერლებს, უფასოთ, დაურიგდებათ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲢᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲛᲝᲬᲘᲤᲔᲠᲔᲑᲐ:

ტფილისში „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ საადვოკატო კანტორის გახსნაზე ქუთაისში. ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.—ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ: — ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.— ᲘᲡ�პᲐᲜᲘᲐ. — ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. — სცენა ᲕᲘᲚᲔᲚᲛ-ᲢᲔᲚᲚᲘᲓᲒᲐᲜ.—ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ. — ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ. — ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.—ᲜᲝᲛᲑᲐᲗᲘ.—ᲙᲔᲠᲫᲝᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲜᲝᲛᲑᲐᲗᲘ
№ 3.

ᲜᲝᲛᲑᲐᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ.

ჩვენ თანამემამულეთა სიყვარული გვიძულებს, რომ ყოველი მხრით დავაკმაყოფილოთ მათი საჭიროება. სიყვარული ჩვენი ჩვენთა თანამემულეთა დიდია და ყოველსაგე ღონისძიებას ვიხმარებთ მათის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ფესალმებით რა ამ წელიწადსა, ჩვენ გვინდა მოვართვათ მკითხველებსა საჭირო ფეშქაში; მომავალ წლის კალენდარი თუმცა ორი გამოვიდა: მდივანოვისა და ᲘᲡᲐᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, მაგრამ რადგანაც სრული არ არის, ჩვენ ამ ნობათის კალენდარს ვუძღვნით საყვარელთა მკითხველთა. საკუთარ წიგნათ ეს არ გამოვა, რომ ზიანი არ მიეცეთ ზემოხსენებულთა კალენდრების გამომცემელთა და უნდა ვთქვათ, რომ როგორც ეს ნობათის კალენდარი საჭიროა, ისინიც აგრეთვე საჭიროანი არიან.

ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ.

ზაფხულს სიცხეები კვირაში მხოლოთ შვიდჯერ იქნება.

წვიმები მოვა, მაგრამ ნურავინ კი ნუ მოელის, რომ წვიმას ოქროები და პური მოჰყვეს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ვაცნობებთ იმა პირთა, რომელთაც აქვსთ, ანუ ექნებათ, საქმეები ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ სასამართლოებში, ანუ თვით ქუ

მზისა და მთვარის დაბნელება არ იყოს, იყოს მხოლოთ დაბნელება გონებისა, პატიოსნებისა და ჯიბისა.

მიწისძვრა და წარღვნა არ იყოს. იყოს მხოლოთ მუშტით, სილით და ჯოხითა ძვრა და ტყაპატყუპი.

დიდი ქარიანობა არ იყოს; ქარის ქროლა იქნება თავებში და მეტადრე, ვისაც ჯიბე უფრო გამოტენილი აქვს.

ᲥᲣᲓᲘᲐᲜᲘ ᲔᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲣᲓᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲞᲘᲠᲤᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲘ ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲗ ᲮᲐᲜᲓᲘᲡ ᲮᲐᲜ ᲒᲐᲬᲘᲗᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

—

ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ.

როგორც წლეულს იყო დიდი მოსავალი გოგრისა, ვაშლისა, მსხლისა და ხეხვისა, მომავალ წელსაც ისეთი მოსავალი იქნება.

აგრეთვე კრკო და მწიფელა ძალიან მოვა.

გამრავლდება სხვა და სხვა ჯინში გაუმაძღარ ღორისა, ყურ — დიდა ვირისა, მელა ქურდისა და მტაცებელ მგლისა.

—

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔ.

ჯიბის სიჭლერქე გადასადებ აეათმყოფობათ გადიქცევა და ყველგან მოიფინება. ამისი წამალი სესხი იქნება; თუმცა ეხლანდელი

თაისის ᲝᲚᲥᲘᲡ სამჯავროში (ოკრუჟნის სუდში), რომ ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავზედ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებსა და ამ საქმეების ზემოხსენებულ სასამართლოებში დაცვასა.—ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, სახლი უფალი ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲚᲝᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ.

ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ ᲚᲝᲚᲣᲐ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲑᲓᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.
(ტფილისში მიღებული.)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. Journal d' Odessa, „ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ“ ამბობს, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ შუა უთანხმოების მოსასპობელათ რუსეთმა ორჩია სახელმწიფოებს კონფერენციის შედგენა.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ აშლის გამო ერთმანეთთან, ᲙᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲑᲣᲜᲢᲘ ᲣᲤᲠᲝ გააძლიერეს, ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ ძალიან გაფიცხებულნი არიან საომრად. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲛᲐ გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც მთავრობა ითხოვს ხალხის შეწყობას.

(ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ მიღებული)

ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ, 16-ს ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ თანახმაარის საევროპო რჩევაზედ, მხოლოდ იმ პირობითა, რომ რჩევაში იყოს ლაპარაკი მხოლოდ ულტიმატუმის ხუთ მუხლზე.

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲛᲐ იყიდა ორი ჯავშანიანი გემი.

ᲙᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ 20 დეკემბერს მოხდა, ომი გამარჯვებულნი დარჩნენ ინსურგენტები.

ᲕᲔᲜᲘᲡ გაზეთი ამბობს, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡᲐ შეიცვალა რუსეთის სასარგებლოდაო.

ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜᲛᲐ 21—ს დეკემბერს. საახალწლოდ რომ მიიღო დიპლომატური კრება, მაშინ უთხრა, რომ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ სახელმწიფოებსა ჰსურთ სიმშვიდეო და ამიტომ 1869 წელიწადი, როგორც წარსული წელიწადი, მოჰკვეთს ყოველ შიშსაო და დაამკვიდრებს სიმშვიდესაო.

ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ, 3-ს ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ხვალ უთუოთ მოხდება პოლიტიკური განხეთქილება ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ შუა. ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲨᲘ ᲔᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ, და აგრეთვე გემების გამოსაყვანად იქნება დანიშნული დრო, რომლის შემდეგ აღარ გამოუშვებენ ერთიერთმანერთისაგან და დაატუსაღებენ. ჯერ საეჭვო არის, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗ შუა მოხდეს ომი.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მმართებლობა არ აძლევს ნებას, რომ საბერძნეთის ცეცხლის გემი „ᲐᲛᲤᲘᲢᲠᲘᲢᲐ“ მოვიდეს ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ საბერძნეთის ელჩის, ᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წასაყვანად, რადგანაც ეშინიანთ, რომ სატახტო ქალაქში აღრეულობა მოხდებაო მაშინვე, რაკი ის ცეცხლის გემი მოვა.—

ᲓᲐᲣᲓ-ᲤᲐᲨᲐ მიდის ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ სხვა ახალი კამპანიის მოსანახად რკინის გზის გასაკეთებლად.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ 4-სა. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ Turquie-ის სიტყვიდ, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲛᲐ მისცა ცეცხლის გემი იმ ბერძნებსა, რომელნიც ცხოვრობდნენ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲨᲘ და უთხრა გავიდნენ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ სამძღვარსა. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ელჩისათვის, რომელმაც ოსმალის მმართებლობისაგან მიიღო ბაშფორთი, უნდა მოსულიყო საბერძ-

ექიმები. მიროვი სუდიები ამ წამლობას აღარ ურჩევენ; მაგრამ მაინც სხვა წამალი არ იშოვება.

ᲑᲔᲕᲠᲗᲐ ᲬᲚᲘᲡ დრეკისაგან კუზი გამოუვათ. ზოგს თვალთ დააკლდება და ყური დაუმძიმდება, რომ რისაც ღირსი არ არის, არა ჰნახოს და არ გაიგონოს.

ᲑᲔᲕᲠᲡ ᲥᲛᲠᲔᲑᲡ რქები ამოუათ.

ᲑᲔᲕᲠᲘ სულელი გაბრძენდება.

მრავალი კბილ ჩამტვრეული, ფერდ ჩადრეკილი და ყბა დასიებული იღლის ექიმთან, მიროვი სუდიასთან.

—

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲔᲑ-ᲛᲘᲪᲔᲛᲐ.

ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲨᲘ ხანსა და ხან გამოშვებით დამპალი საქონელი იაფათ გაიყიდება.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲡ, საწყაოს და აღლს ისეთს იხმარებენ, რომ ერთი ხუთს უდრიდეს.

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ მაგიერათ, შეღებილ წყალს გაჰყიდიან. ᲔᲠᲑᲝᲡ მაგიერათ, გამდნარ დუმას. ხმელ თევზის მაგიერათ ფუტურო ტყავსა. რძისა და მაწვნის გაკეთებას წყლისა და სახამებლისაგან ბევრნი ისწავლიან.

ᲘᲐᲤᲐᲗ გაიყიდება ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქუჩებში მოხალული სიმინდი და წაბლი.

—

ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲛ ᲡᲐᲒᲜᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ კარგათ არის გაოსტატებული და კალერდარი არ ეჭირება.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ სალხინო ადგილები იქნება არა მხოლოთ ᲙᲐᲚᲝᲜᲘᲘᲡ ბაღებში, არამედ მუზიკით ვეჩერები გაიმართება ყოველ მიკიტანხანაში, რომ ზოგს ,აცს დროების გატარება შეეძლოს თავის ღონისძიებისამებრ.

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ მაგიერათ ხალხი წყლის სმას დაიწყებს.

ᲝᲯᲐᲮᲝᲑᲐᲨᲘ შინაურული ლხინები იქნება და ცოლქმარნი, მაზლის ცოლები, რძალ-დედამთილები მუშტიკრიეს გამართვენ ხოლმე. ᲐᲛ ლხინს ყმაწვილებიც დაესწრობიან და შიგ გაერევიან კიდეცა.

ᲙᲐᲛᲔᲓᲘᲔᲑᲘ გაიმართება, სადაც მაყურებელნი მოთამაშეთ შტუკებსა ნახვენ: მოთამაშენი მოიდრეკენ თავს ადგილამდისინ, დაემსგავსებიან ქვემძრომთა და აცოცდებიან საკმაო მაღალს და დიდს ადგილსა.

—

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ.

„ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲨᲘ“ იქნება დაბეჭდილი ტირილი ზნეობის დაცემაზე, მამულის სიყვარულზე, ლოტოზე. ᲐᲛᲐᲡ გარდა იქნება კომედია ᲥᲣᲓᲐᲑᲖᲘᲙᲐᲫᲘᲡᲐ, და „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ“ გამოსვლაზე მხიარულობის გალობა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ მკითხველნი გამრავლდებიან, ვითარცა ქვიშა ზღვისა. ᲑᲔᲕᲠᲘ სიცილი იქნება და ბევრი ტირილი, ლხინი და ვაება.

ნეთის ჯავშიანი ცეცხლის გემი, მაგრამ არ მოვიდა, ამიტომ რომ Ოსმალეთმა არ მისცა ნება გამოეელო დარდანელზე.

Გაზეთი Turquie გვაცნობებს, რომ Საბერძნეთის საეჭრო ცეცხლის გემს „Ენოზისს“, რომელიც Კანდიელებისა და Ბერძნების ერთმანერთში მისვლა მოსვლასა არ სწყვეტდა, დაეცა Ოსმალეთის საომარი გემიო საბერძნეთის წყლებში.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. დეკემბრის 4-სა. Ისპანიის მმართებლობამ მისცა ბძანება Ლონდონისა და პარიჟის ბანკირებს, რომ იმათ ახლავე დაურიგონ ხალხს სარგებელი სახემწიფო ვალის კუპონებისა, რომლის ვადა დგება იანვრის 1-სა 1869 წელსა.

მდგომარეობა მმართებლობისა, Კადიკსში აღრეულობის დამშვიდების შემდეგ, ძალიან დამკვიდრდა. Ისპანიის სიმშვიდის დაშლის შიში ახლა აღარ არის, ამიტომ რომ ყველა პარტია ერთმანერთში თანახმად არიან და უცდიან კორტესების გარდაწყვეტილობასა შემდეგი მმართებლობის წესის მიღებაზე Ისპანიაში.

Გაზეთებში გვაცნობებენ: Ისპანიაში მოვიდა ერთი მდიდარი კაპიტალისტიო, რომელიც მინისტრებს აძლევს სასარგებლო საფინანსო აზრებსა.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

Მმართებლობა მეორე იმპერიისა და ახალგაზდობა. Constitutionnel. დეკემბრის 11-დგან, გაჯავრების გამო აღიარებს იმ გვარ მართალსა, რომ მისი პირისაგან უცნაური გამოდის. ᲐᲛᲑᲝᲜᲡ: „ჩვენ და Journal de Paris ვამბობთ, რომ მმართებლობა შესცდა, რადგანაც არ მიიღო შრომა, რომ გონიერი და მსჯელი ახალგაზდობა მიემხრო თავისაკენა, რომელსაც უნდოდა ემსახურნა იმპერატორის მმართებლობისათვის, მაგრამ რაკი მმართებლობამ ყური არ უგდო, გადავიდა წინააღმდეგებისაკენ. ჩვენ ამაზედაც ვწუხვართ, რომ იმისთანა ნიჭიერი მწერლები, როგორც უფ. Ვეისსი და Ბერვე (Journal de Paris-დგან) არიან ჩვენ პოლიტიკურ წინააღმდეგთ რიცხვში. Სწორედ უნდა ვსთქვათ, რომ სჯულების დამწესებელი კორპუსის მწეერთა რიცხვი ძალიან მომეტებული არის აღმოსრჩეველების რიცხვთან შედარებითა. Ეს კი ნამდვილი არის, რომ ვინც პოლიტიკურ სცენაზე გამოდის და საფუძვლიანი პოლიტიკური აზრები კი არაა ქვსთ, ისინი სხვა გზაზე მიდიან, ვიდრე ჩვენ. Ერთის მხრიდგანა ხედავთ მეჟურნალეებს, რომელთაც აუღიათ მძიმე და ურგები საქმე, რომელიცა სდგას იმაში, რომ გაამართლონ ახლანდელი რიგი. Dაუმადლებელობა და დაივწყება არის საჩუქრად იმ მეჟურნალეთათვის, რომელთაც დაუწყიათ ეს უხეიროო საქმე. მეორეს მხრიდგანა ჰხედავთ უფ. Ბამბეტტს, რომელსაც გადაუკეთებია ისიც ძალიან უხეიროდ, Ვიკტორ Ბუგოს პამფლეტი, და უფ. Ულისსა—ფარანი, რომელმაც გაიკეთა სახელი იმით, რომ დასწერა რაღაც ურიგო პოლიციის აგენტებზედ. ᲐᲛ გვარად, თუ პუბლიცისტი (პოლიტიკური მწერალი) არის საესე იმ აზრებითა, რომელიც აკლია ახლანდელს საზოგადოებასა, ის მაშინვე გადავა მმართებლობის წინააღმდეგთაკენ. ᲐᲛასა ეგრძნობთ და ამიტომაცა ვწუხთ, რომ, ჩვენის აზრით, ნაპოლეონმა IV-მ უნდა ეძიოს მომხრეები ახალგაზდობაში, რომელიც მაშინვე გადავა მმართებლობის წინააღმდეგთაკენ, თუ მმართებლობა არ ეცდება იმის მიმხრობასა. Ძველი პარტიების წინამძღოლნი ზოგნი საფლავში არიან, ზოგთ თავი დაუნებებიათ პოლიტიკური სცენისათვის; იმათი მემკვიდრეთა და ჩამოგდებულთ მმართებლობათა შუა არა კაეშირი არა არის რა და არც იცნობენ ერთმანერთსა. Პატრიოტობა ჰხდის იმათ ვალდებულად, რომ მიიღონ წარსული, როგორც დაწესებული საერთო ხმის მიცემითა. მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ კაცის ბუნება არ არის სრული; საჭიროა გვახსოვდეს, რომ რაც ახალგაზდაა, გონიერი და განათლებული, იმასა აქვს სიმართლე იყოს, პატივის მოყვარე; ამის გამო კი არ უნდა, რომ მოხდეს განხეთქილება სარგებლობასა და აზრს შუა. Იმპერატორის მმართებლობას, რომელიც არის დაფუძვნებული ხალხის გაანუზომელს ღონეზედა, შეუძლიან მიიმხროს ისინი, რომელნიც არიან წინააღმდეგნი იმისი მოქმედებისა, მაგრამ რომელნიც აგრეთვე გრძნობენ იმის კანონიერს მყოფობასა. Იმპერატორის მმართებლობა უნდა იქცეოდეს ისე, რომ შეეძლოს მოხმარება სხვა-და-სხვა ღონეთა.

—

ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐ.

Კადიკსში აღრეულობაზედ. მადრიდის გაზეთში სწერენ: დრომდის შერიგება ინსურგენტებთან რომ გათავდაო, მაინც დროებითი მმართებლობა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ დაამარცხებდა, მაგრამ არ იწყებდა ომსა, ამიტომ რომ მისცეს დრო მოფიქრებისა იმათ, ვისაც ბუნტი აეშალათ რევოლუციის მტრების სასარგებლოდ. Მმართებლობის ჯარს უჭირავს უწინდელი ადგილები და უშლიან ინსურგენტებს მოძრაობასა; ამასთან მზათ არიან მაშინვე დაეცნენ ინსურგენტებს, თუ გარემოებანი მოითხოვენ ამასა. Მმართებლობა გულმშვიდათ არის ამ აღრეულობის მხრივ, ამიტომ რომ იმედი აქვს მსწრაფლ დაამშვიდოს. რადგანაც მმართებლობამ იცის, რომ ჭეშმარიტებითა მოქმედებს, ამიტომ აუჩქარებლივ, სიმშვიდით და გონივრულად მოქმედებს. ᲣᲮᲔᲚᲒᲐᲜ სიმშვიდის ხმა ისმის და მმართებლობისაგანაც კმაყოფილნი არიან, ამიტომ რომ იმისი პროგრამა ყველა პარტიამ მიიღო, აგრეთვე რესპუბლიკელებმა და სახალხო ყრილობაებმაცა.

Კადიკსიდგან სხვათა შორის გვაცნობებენ, რომ დრომდინ შერიგებამ 11 დეკემბრის საღამომდინ გასწივაო, რომ ამითი მისცენ

სხვა ქვეყნებში, უნტერვალდენსა და ურს,
ბევრს ჰნახავ, რომ გამგებელთა უმტერონ
აქ ბესლერი გვაწუხებს, იქ ლანდბერგერს
ხალხი ძლიერ დაუჩაგრავს.—უშველონ.
ყოველ ნავს მგზავრი გადმოჰყავს ჩივილით,
აგვიკლესო ლანდფოხტებმა სახლკარით.
რას უდგეხართ?—ბონიერი კაცები
ერთად შეკრბით და ჩუმათ მოისაზრეთ,
რა ღონით სჯობს, გაჰყაროთ ქვეყნის მტრები.
ღმერთი ხელს მოგიმართავსთ, თქვენ გაჰბედეთ.
ურში ვინ გყავს მეგობარი, გაუტყდე?

შტაუფახერი

იქ ბევრია ძლიერი და მდიდარი,
რომელთაც დიდი ხანია დავენდე,
მათ რომ ეუთხრა, არ არის სანუკარი.

(დგება)

ძალო, საშინელება ყურს ჩამწვეთე,
ბული მშვიდი აღმიშფოთე, დამძარი,
მზისა შუქით აზრები გამინათე.
რომელსაც ვერ იფიქრებდა მძინარი,
მუხთალი ჩემი გონება,—შენ მარქვი.
მაგრამ კარგათ განსაჯე, რაც მითხარი,
რაც მასმინე, რითაც საოცრად დამწვი?
ვაი-კვნესა, ზრიალი, რაც ომს მოაქვს,
ჩვენს სამშობლოს გინდა თავზე დააცხრო,
ბრძოლა,სისხლი ჩვენს ველებზე გადმოგაქვს!
ვითომ გსურს ქვეყნის მფლობელი განარცხო!
ძროხის მწყემსთა ხალხთა მცხოვრებთა მშვიდათ
რა ღონე გვაქვს, ბუმბერაზს რომ შეებათ.
მერწმუნე, თვითონ იმათაც ეგ უნდათ,
მიზეზი რამ იპოვონ, ამ მინდერებზე
ჯარი გამოგვისიონ გასაჟლეტად.
დავსაჯეთო, იტყვიან; დადგებიან ძალაზე,
ტყვედ გაგიხდიან, სამართლის კარს დაგვიხშენ.

გერტრუდა.

ვერა, ეგრე ადვილათ ვერ გაგვწყვეტენ.
ცულის მოქნევა სიმარჯვით თქვენც იცით;
და გამბედავს უფალი წინ მიუძღვის.

შტაუფახერი

ძალო! ომი საშიშია სისხლის-ღვრით:
სახლკარი და ჯოგი სულ დაგვეღუპვის.

გერტრუდა

ღვთისრისხვას ჩვენ კრძალვით უნდა ვეომონოთ;
დაჩაგვრა კი კაცს არ უნდა ვუთმინოთ.

შტაუფახერი

ძალო, ამ სახლს შენ რომ თავზე დაჰხარი,
ომი დასწვავს; ხელს შეგრჩება ნაცარი.

გერტრუდა

თუ ბორკილით შემკვრენ, მაზედ მიმაბმენ,
ბეფიცები, პირველ ცეცხლს მე გაუჩენ.

შტაუფახერი

მაგრამ ომი ამკლები, წყალ-წამღები,
შენს პაწაწასაც მოგიკლავს, დამრჩები.

გერტრუდა

უმანკო სულს ცაში აქვს საყოფელი,
წინ სცქეროდე, უკან რათ იხედები.

შტაუფახერ

მე რამიჭირს, განმისვენებს მთის ველი.
მაგრამ, ქალო, შენ როგორღა დარჩები?

გერტრუდა

ნუ გეშინინ, უკან არც მე დაგრჩები,
ვისკუპებ და კლდიდგან გადავარდები.

შტაუფახერი მოეხვევა.

ოჰ, ქალო, ვინც მაგ გულის პატრონია
სამშობლოსთვის თავს როგორ არ გასწირავს.
ქაროლთ ჯარი მისთვის არაფერია,
თავისუფლება ხელთა აქვს მტერს ჰმუსრავს!....

ბ. წერეთელი.

სამეცნიერო ამბები.

მეცნიერების ახალი ამბები.

სიძველე კაცისა.—ქალიფორნიის კაცის ჩონჩხი. დოკტორი სმიტი და შოლტის გადაგდება პირუტყვის ხმარებაში. ხე—ფური. მატლი, რომელსაც ახმარებენ საჭმელში ერბოს მაგიერ.

ამერიკის სწავლულ კრების ყრილობაში, ჩიკაგოში, ლაპარაკი შეეხებოდა მხოლოდ მიწიდგან ამოთხრილს კაცის ძვლებსა და აქედგან გამოჰყვანდათ ის დროცა, როდესაც პირველად კაცს უცხოვრია მიწაზედ.

პოლკოვნიკმა უიტტესლეიმ მოთვალა რამდენიმე თემის ხალხი, რომელთაც ეცხოვრად ამერიკაში წითელ კაცზედ უწინ. პირველი იმ თემთაგანნი არიან ისინი, რომელთაც გაუშვიათ სახსოვრად ვროვები მიწისა, ანუ გორები. პოლკოვნიკმა ფორსტერმა შენიშნა, რომ კაცი სცხოვრებდა ერთ დროს დიდრონ სქელ ტყავიან პირუტყვებთანაო, რომელნიც ახლა აღარ არიან მიწაზედ. ეგვიპტის პირამიდები არიან აშენებულნი იმგვარ მიწაზედ, რომლის ქვეშაც კარგ სიღრმეზედ იპოვებიან კაცის კვალნი. ჩონჩხის ქალიფორნიაში პოვნა, მოწმობს კაცის ღრმა სიძველესა. ამერიკაში წითელი კაცის წინა პირი თემი, რომელთაც მიწა უქუჩებიათ აქა იქ, ყოფილან უფრო განათლებულნი, ვიდრე წითელ კანიანი თემი. იმათ სპილენძიც უხმარნიათ ჭურჭლისათვის, მაგრამ სჩანს, რომ დადნობა კი არა სცოდნიათ და კვერის ცემით უძლევიათ სხვა და სხვა სახე. ძველთ პერუელებს, რომელნიც რკინას ვერა სცნობდნენ, ჩრდილოეთის ამერიკის სხვა და სხვა ნაწილებში უვაჭრიათ და ტანთაც ნაქსოვი ფარჩა უცვამთ.

პროფესორმა უიტნეიმ წაიკითხა ცნობაები ქალიფორნიაში ნაპოვნს ჩონჩხზე; ისა ყოფილიყო 16 საჟენ სიღრმეზედ, და ერთს გაქვაებულს მუხასთან. ეს ჩონჩხი ისეთს ხალხს უპოვიათ, რომ იმათ ჩვენებაში ტყუილი არაფერი იქნება. პროფესორმა უიტნეიმ პირველად შეიტყო ამ გამოჩენაზე დოკტორი ჯონესისაგან, 1866-ს ივნისში, და მაშინვე წავიდა იმ ადგილას, სადაც ეპოვათ. იმან ნახა უფ. მატტისენი, რომელსაც ჩონჩხი ეპოვა და იმისაგანაც ისევე ცნობაები შეიტყო, რაც ჯონესისაგან. იმან გამოიკითხა სხვა ცნობაებიც და ესენი არიყვნენ წინააღმდეგნი პირვანდელი ცნობისა. მატისენმა უთხრა, რომ თებერვალში (1866) მიწასა ეთხრიდიო და ჩონჩხი გამოჩნდაო; მაგრამ პირველად ჰგონებოდა ხის ძირკვიაო, და მეორეთ რომ ენახა, ეფიქრებინა კარგი რამ იქნებაო ეს ნაპოვნი და წაეღო ერთს თავის ნაცნობთან, სკრიბნერთან, რომელსაც პრაფესორი უიტნეიც იცნობს. სკრიბნერმა უთხრა პროფესორსა, წინდაწინ რომ მომიტანესო არ ვიცოდი რა იყოვო; გარეშემო მიწა შემორტყმოდაო და გაქვაებულიყოვო. მერე გაქვაებული კანი რომ შემოეწმინდა სკრიბნერს წაეღო დოკტორ ჯონესისთან, რომელსაც იცნობდნენ, როგორც იშვიათი ნივთების მომგროვებელსა. დოკტორი ჯონესი კარგად იცნობდა ყველას, ვიზედაც ზეით იყო ნათქვამი, და როგორც თითონ, აგრეთვე ყველამ, ვისაც კი ენახა ჩონჩხი იმასთან, დაამტკიცეს, რომ ყველა ნათქვამი იმის გამოჩენაზედ მართალი არისო. პროფესორმა სილლიმენმა, უიტნეიმ და ბლეკმა, რომელთაც ნახეს ჩონჩხი, ჯერ ვერაფერი ვერა სთქვეს იმის სიძველეზედ და დასდვეს, რომ მოვუცადოთ გარდ წყვეტასაო. რადგანაც ნამდვილია პოვნა ჩონჩხისა იქ, სადაც იყო ნათქვამი, ამიტომ კაცის სიძველე ისე შორს მიდის, რომ მართლადაც უნდა მოიცადოს კაცმა, რომ ამ გვარი სიძველე სხვა მოწმობითაც დამტკიცდეს. უნდა შევნიშნოთ, რომ ქალიფორნიის ჩონჩხზედ ეყარა ლავა, ბაზალტის ნაკეცები საერთოდ 16 საჟენი სიმაღლე გარდა ამისა იმდროს აქეთ, როდესაც ჩონჩხი დამარხულა, მდინარეს უნდა გაეჭრა ას ხუთმეტი საჟენი სიღრმე ღელე.

პროფესორმა სილლიმენმა სთქვა, რომ მე ბევრი ვეძებე ქალიფორნიაში იმ ადგილს, სადაც ჩონჩხი უპოვნიათ, რომ მეპოვნა კაცის კვალი, ანუ კაცის რამ ხელოვნებაო: მაგრამ რამდენიმე მასტადონტის კბილები კი ვიპოვნეო. შეიძლებოდა მთელი ძვლები ამომეღო ამ პირუტყვისაო, მაგრამ რასწამს ჰაერი მოხვდა, მაშინვე მტვრად იქცაო. პროფესორი სილიმენი დარწმუნებულია, რომ კაცსა და მასტოდონს ერთს დროს უცხოვრიათო. მხოლოდ პირველი კი შეიძლება უფრო უწინ გაჩენილიყოს მიწაზედაო.

პროფესორმა ბიბბონმა შენიშნა: რადგანაც შუა ამერიკის გეოროგლიფები (მხატრული წერა) ამტკიცებენ, რომ ამერიკაში ყოფილან მღვდლები და ზღვაში მატარებლები,რომელნიც არა ჰყოლიათ ახლანდელს ამერიკაში მცხოვრებელთ,ამიტომ სჩანს, რომ წინად ამერიკაში გადმოსულა ხალხი აზიიდგანაო.

ამერიკის სასოფლო კლუბში დოკტორმა სმიტმა სთქვა სიტყვა შესახებ იმისა, რომ განათლებული საზოგადოება ექცევა სასტიკად პირუტყვსა. აი სმიტი რას ამბობს: პირუტყვს კაცი კარგის ქცევით ძალიან მალე შეიჩვევს. ისინი პატრონს უყურებენ თვალებში—აცა რა ჰსურთ, რომ გაუგონოთო. თვისება კაცის ბუნებისა ის არის, რომ პირზედ ეცნევა ყოველი გულის წადილი, უსიამოვნებაცა და სიხარულიც. პირუტყვს კი ის ძარღვები, რომლითაც გამოითქმება გულის წადილი, დაფანტული აქვს მთელს ტანზედ. ბაჯაერებული ვეფხვი იჩენს კბილებსა; ცხენი რომ გაჯავრდება—ყურებს უკან გადაიყრობს, რომელიც არის ცხადი ნიშანი, რომ წიხლი უნდა გაიქნიოს; ძაღლი კუდს იქნევს და ამითი სჩანს, რომ ელაქუცება. შინაურნი პირუტყვნი არ აჩენენ სიამოვნებას ასოს მოძრაობით. ისინი არიან მშვიდნი და არა სჩანს უხარიანთ, თუ არა. მაგრამ ჯაერს კი ყოველი პირუტყვი გამოსთქვამს. ფურს არ შეუძლიან გამოსთქოს სიამოვნება, კატასავით კნავილით მაინც და ცხენივით ხვიხვინით, მაგრამ ჯავრი კი რამდენიმე საშუალებით შეუძლიან გამოსთქოს, მაგალითად ფეხის ჩაყოფით საწველელში წველის დროს. რამდენათაც კარგად ექცევა კაცი პირუტყვსა, იმდენათ უფრო შნოიანი არის. არაბისათვის ცხენი არის მწევრი სახლობისა. როდესაც რისამე ეშინიან, მაშინ ცხენი მიუახლოვდება ვისმე კარავში მცხოვრებს, რომ დამესარჩლოსო; იმათ ყველას იცნობს. ავსტრიაშიაც ცხვარი შეიკრიბება ხოლმე მწყემსთან, როდესაც არის რამ შიში. წვრილი ყმაწვილები თამაშობენ არაბის მაჭენებელი ცხენის ფეხებში, კუდზე ეკანჭურებიან, მაგრამ ცხენი მშვიდად დგას, იმან იცის, რომ ის ხელები, რომელნიც ეკანჭურებიან კუდზედ, ისინივე არიან, რომელთაც ხანდის ხან რძე მოაქვს დასალევინებლად ამოღრუნტულს გოგრაში. არაბის ცხენი გონიერი პირუტყვია. ბაჭენების დროს რომ აღვირის ტოტი გაუწყდეს, მაშინვე დადგება, რომ მისცეს პატრონს დრო აღვირის გამართვისა. იქნება ევროპაშიაც გამოჩინა ასეთივე სიგონივრე ცხენსა, მაგრამ რადგანაც იცის, რომ ამ შემთხვევაში ყოველთვის მათრახი ელის ცხენსა, ამიტომაც რას წამს გაუწყდება რამ ცხენსა, მაშინვე იშვერს და გარბის რაც შეუძლიან. ესევე ცემის შიშია მიზეზი, რომ ცხენი გარბის უგზოთ მაშინვე, რასწამს ნახავს, რომ აღარავის უჭირავს. ცხენთან მოქცევა არაბისა და ევროპიელისა სხვა და სხვა არის. როდესაც ცხენი მხიარულად ხვიხვინებს თოფისა და ზარბაზნების ხმის დროს, მაშინ ევროპიელსა ჰგონია, რომ ცხენი კარგი ამხანაგი იქნებაო ომში; მაგრამ, როდესაც ომიდგან გამოქცევის დროს ცხენი არა ხტება რუზედ, მაშინ თვალებს უკვრენ და ცემით ახტუნებენ. ხანდის-ხან ცხენებსა ჰსჭედავენ იმ სიმძიმე ნალებითა, რომ ცხენის ღონე იმას ვერ აიტანს. ზოგჯერ კუდის ძარღვებს უჭრიან ცხენსა, რომ კუდი შეილდიეთ მოიხაროს ზეით, და ამგვარ დაიარავებულ ასოს ამყოფებენ ჭახრაკზე მთელი კვირაობით. ცხენის გახედნას იწყებენ მათრახითა და ათავებენ მათრახითა. ცხენი ეჩვევა და იცის, რომ მათრახი არის მზათა და მაშინვე გადეკვრება, თუნდ როგორმე შემთხვევით ბელტზედ წაბორძიკდეს. „წარმატება მანამდინ არ დააჩნდება, ვიდრე სანამ მათრახს არ გადააგდებენ ხმარებიდგანაო, ამბობს დოქტორი სმიტი. მათრახი აგრეთვე არ არის საჭირო ცხენისათვის, როგორც კაცისათვის.“—როდესაც მშვიდად მოექცევა კაცი პირუტყვსა, მაშინ უკეთ მოიხმარებს იმასა. მოქანცული აქლემი აღარ დაიძვრება ადგილიდგან გახურებულს მინდორზედ, თუ არაბმა მაღლა არ დაიძახა აქლემის სასიამოვნო სიმღერა; დასუსტებული პირუტყვი აფასებს ამ გვარ პატივსა და მიდის. ცხენი ბუნებით გონიერი არის და ბევრს რასმესაც შეაჩვევს კაცი, თუ სიამოვნებით მოიქცა. ცირკებში ცხენებს ათამაშებენ და აჩვევენ რამდენიმე სხვა და სხვა ნაირს წარმოდგენასა; ეს სულ იმიტომ, რომ მშვიდად და სიამოვნებით ექცევიან. ცხენის ბუნებით გონებაზედ თითონ კაცი მოქმედებს ცუდათ, როდესაც ჰკოდავს. (ქოდვა აყენებს ცხენის გონების გახსნასა). აღმოსავლეთის მცხოვრები კოდავს არ ცხენსა და ცხარე ულაყს ცხენებზედ ცირკებში ყოველთვის მოქმედებენ მხოლოდ სიტყვით. იაბო ჩლუნგია და კაცი ვერც ასწავლის მრავალს, რასაც ულაყი ცხენი სწავლობს ადვილად. ულაყს ცხენზე მოქმედებს სიტყვა, მაგრამ მათრახისაგან კი ცეცხლდგება და უმეცრდება. იაბოს კი რამდენიც უნდა სცემონ მათრახი, მაინც არა უშავსრა და არც არა ცუდი მოქმედება ექნება იმაზედ; იქნება იმიტომაც შემოუღიათ ცხენების კოდვა, რომ მათრახის უფლება დამკვიდრდესო. დოქტორი სმიტი უყურებს როგორც ბოროტებასა, რომ ახლა არიან ხელოსნები, რომელნიც მხოლოდ მათრახებს აკეთებენ. როგორც იაბო, აგრეთვე ხარი დაკოდვისაგან კი არა მშვიდდებიან,არამედ ხდებიან ამისაგან მოშიშარნი და მკრთალნი. ისპანიაში ხარი არას დროს არ გაჰყავთ იმ ადგილას, სადაც ბულებს აჭიდებენ.

მწევრი განათლებულის საზოგადოებისა არის ყველა პირუტყვთთან მტრათ, და ამიტომაც პირუტყვი ყოველთვის ერიდება კაცსა და არც ახლო ეკარება; ეს შიში კაცსა ცხოველსა და მფრინველს სამკვიდროდ გადასდევთ, სიამოვნებისთვის ნადირობა კაცსა ხდის საფთხუნად გარეულს პირუტყვთან. აზიის მხარეებში ბევრგან არ არის ამ გვარი სამკვიდრო შიში და გარეულ პირუტყვთაც არ ეშინიათ კაცისაგ.

მექსიკიდგან იწერებიან ცნობასა ერთს იქაურს შესანიშნავს მცენარეზედ ხე—ფურზედ.

ხე—ფურსა აქვს სქელი, ხორციანი ფოთლები და გარს ეკლები ახვევია. ამიტომაც ბუმბოლტმა შერიცხა ეს მცენარე ანანასების რიგში, მაგრამ ეს მცენარე ძალიან ჰგავს კომბოსტოსა,რომლის ფოთლებიც ძირში დახვეულან და აწეულან მაღლა სამი საჟენის სიმაღლეზედ; ეს მცენარე ბოლოვდება ყვავილებითა. მთელ მცენარესა აქვს სიმაღლე ოთხი საჟენი და ცხოვრებს თხუთმეტ წელიწადსა. ეს მცენარე უფრო ხშირად იპოვება ქალაქი მექსიკოს გარეშემო, როდესაც მოვა დრო, შუათანა შეხვეულ ფოთლებს ამოსჭრიან ხოლმე, და შუაში გროვდება ხის წვენი „თაფლის წყალი“ როგორც იქაურები ამბობენ. აქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან ეს წვენი დღეში ორჯერ სამჯერ უნდა ამოიღონ, თორემ თავს გადმოვა. ტკბილი წვენი მხოლოდ რამდენიმე ხანს შემდეგ ჰხდება რძის ფრად. ამ ახალს წვენში აგდებენ ძველს სადედსი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იხმარონ სასმელად. ზოგი ამბობს, რომ რაღაც მძაღე, თევზის სუნი აქვსო, მაგრამ ბევრი წილი მსმელები არა გრძნობენ ამ სუნსა. რადგანაც ამ სასმელში არის სპირტი, ამიტომ ათრობს, და ამისაგან უფრო მრავალი ჩხუბი გამოდის ვიდრე კონიაკისა და პივისაგან. ქალაქს მექსიკოში ყოველ დღე სმენ ამ რძესა 80, 000 ბოთლამდე.

ეს არის ძველებური სასმელი მექსიკელებისა. ლეგენდა ამბობს, რომ როდესაც ტალტეტებს უნდოდათ მოეცილებინათ წინანდელი მცხოვრებლები მექსიკისა, რომელთაც ეძახდნენ მდევებსა, მაშინ იმათ დაალევინეს, პულკა (ამას ეძახიან სასმელს, რომელსაც აკეთებენ ამ ხის წვენისაგან იქაურელები) და მერე დაეცნენო. ამამცენარის ძარღვებისაგან ინდიელები ქორტესის დროს აკეთებდნენ თავიანთთვის ტანთ საცმოსა, თავებს, მათრახებს, ფარებს და მრავალ სხვა ნივთებს. ამ ხის ფოთლებით ხურავდნენ ჭერსა. იმისი ნაკრისაგან აკეთებდნენ ნაკარ ტუტასა, ძირკვიდგან საპონს; ფოთლებისაგან საშინაო ჭურჭელს ფოთლის ზეითა კანისას ქაღალდს აკეთებდნენ. შაქარსა და ძმარს იმისი წვენიდგან აკეთებენ.

ძველი ხე რომ გახმება, იმის ახლო რჩება 6—8 წვრილი დოყები. ველა ფოთლებსა შუალაგას სამის გარდა, ამტვრევენ და რგვენ. ოთხი წლის მერე ზოგიერთი მოსახლე ამტვრევს ეკლებსა და კიდევ აცლის 4—5 ფოთოლსა. შემოსული მცენარისაგან წვენს იღებენ ყოველ წელიწადს 20 დღიდგან მოკიდებული 6 თვემდინ. ზოგი ერთს ხეს წლიწადში გამოსდის 100 ფუთამდე წვენი. ყოველი ხე აძლევს წლის მოგებას ხუთ მანეთამდე. ანგარიშობენ, რომ ყოველ მანეთსა, ხე—ფურზე მოხმარებულს მოაქს წელიწადში ოთხი აბაზი მოგება. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხემ იცის დიდი ყვითელი მატლი, რომელიც ისე სუქანია, რომ ინდოელები ხმარობენ ერბოს მაგიერ; ერთს დროს ეს მატლი, როგორც შენიშნულია Tribune-ის ქორესპოდენციაში, უხმარებია საჭმელად იმპერატორს მაქსიმილიანს.

ქორესპოდენტი ამბობს: ყოველი ამ ხის გარემოება რომ წარმოვიდგინოთო, ეს ხე არის მექსიკის მეორე სიმდიდრე, მადნების შემდეგ.

მრავალ გვარი ამბები.

ქუსარი. ღამით 27 ნოემბერს, 5 საათს 48 მინუტს, იყო დიდი მიწის ძვრა, 10 წამის განმავალებაში. ამასთან ისმოდა ყრუთ შორი გრიალი, თითქოს ღრმა მიწიდგან. ეს გრიალი ჰგვანდა შორიდგან მოსულს ხმასა, სადაც მომხდარიყო მიწის ფეთქა. ამ ხმასთან სწრაფათ გაირბინა მიწის პირის პირ ჰაერის ტალღამ, რომელსაც თითქო რაღაცა აწვებოდა ცალის მხრიდგანა; თავის სირბილში სწრაფად ეწეოდა მაღლა სახლებსა და უშვებდა ძირს. ტალღის მსგავსი ზანზარი ისე ძალიან იყო სამხრეთ—აღმოსავლეთიდგან ჩრდილოეთ—დასავლეთისაკენ და უკანვე, რომ სახლებმა დაიწყეს ჭრიალი (აქ სახლები სულ ფიცრისა არიან)—და მებელი და სხვა ნივთები თითონ იძვრებოდნენ თავიანთის ადგილიდგანა.

ამ მიწის ძვრას წინ მოჰყვა მეტეორი, რომელმაც 26-ს ნოემბერს, ღამის 11 საათზე, სწრაფად გაირბინა სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ; ეს მეტეორი ჰგვანდა დიდის ცეცხლის გუნდას, რომელსაც გძელი და განიერი კუდი ჰქონდა; ამასთან გარბენის შემდეგ დაგდო გძელი და მაღალი ცისარტყელასავით გზა, რომელზედაც გაირბინა. ეს მეტეორი რომ დაიმალა, იმის 10 წამს შემდეგ იმ ადგილიდგან მოისმა დიდი ხმა გახეთქისა და ამასთან გაიელა.

მოსკოვი. დეკემბრის 4-ს. მოსკოვში წაურთმეევიათ ფალშივი ასიგნაციების გამსაღებლებისაგან ახალი სამმანეთიანები 580 ცალი და ამასთან ორმოცი კაციც დაუჭერიათ. ეს ფალშივი ბილეთები დაუბეჭდიათ მოსკოვიდგან ოცდა ხუთ ვერსზე, ზვენიგოროდის უეზდში, სოფელს სარაევში; ამ სოფელში უპოვნიათ გარჩეული ხელის ლიტოგრაფიის ქაშინა და წყალში ორი ქვა, რომლიდგანაც ერთზე ყოფილა ამოჭრილი ახალი სამი მანეთიანის სახე და მეორეზე ძველი მანეთიანისა. პირველ ქვაზე სჩანს, რომ უწინ მოუჭრიათ 900 სამმანეთიანი.

აკადემიკმა ბროსემ ერთს უკანასკნელს მეცნიერების აკადემიის სხდომაში წარადგინა თავისი თარგმანი უხთანეზას თხზულებისა, სომხეთის ისტორიკოსისა. ეს თხზულება, დაწერილია, როგორცა სჩანს, 973 წელსა, შესდგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი შეიცავს ისტორიას ძველი წინასწარმეტყველებისას, სომხეთის მეფეებისას და რომის იმპერატორებისას, ვიდრე სომხები მიიღებდნენ ქრისტიანობასა, IV საუკუნის დასაწყისში. მეორე ნაწილში არის მხოლოდ ისტორია ქართველებისაგან სომხის სარწმუნოების თავის დანებებისა, 596-ში. მესამე ნაწილში, რომელიც სამწუხაროდ აკლია ამ ერთს ვითარს ხელთ ნაწერსა, იყო მოთხრობა ქრისტიანობის შეტანისა და გავრცელებისა ზადების მხარეში, რომელნიც უთუოთ უტის მაზრაში სცხოვრობდნენ. ბროსემ, უხთანესას ისტორიის განრჩევის შემდეგ, წარმოადგინა განერცელებით წელიწადი, თვე და დღე, რომელშიაც სომხის კალენდარი იყო შეტანილი ანუ დაწესებული. ბროსეს სიტყვით სომხის კალენდარი იყო დაწესებული ხუთშაბათს, 11-ს ივლისს 552-სა, და არა 553-წელსა ქრისტეს დაბადებიდგან. ეს მტკიცდება შეურყეველად შემდეგი გარემოებებითა: 1) მით, რომ აღდგომა ყოველს წელს ნაანგარიშებელი სომხის წელიწადებით ამტკიცებს ამასა; 2) წყალკურთხევა, მოდიოდა სომხისთვის აბაცის მეოცდაათე დღეს, რომელიც იწყებოდა იანვრის 6-დგან, 553—ში მოდის, და 3) მით, რომ მრუდი სომხის აღდგომა ანგარიშით უნდა ყოფილიყო 552-სა. სომხის წელიწადი შესდგება თორმეტი ოცდა ათი დღიანის თვეებისაგან და ხუთი ეპაგემონის დღეებისაგან. ნაკიანი წელიწადები სომხებს არა აქვსთ. ამიტომაც იმათი კალენდარი იულიანის კალენდარზე ერთი დღით უკანა რჩება ყოველს ოთხ წელიწადში. სომხები ნიადაგს სხვა ნაირად სთელიან, ასე რომ მეცხრე ნიადაგის დროს, აღდგომის მთვარის ავსება არის კვირაობით, 6-სს აპრილსა და აღდგომას კი იჭერენ 13-ს აპრილსა, ე. ი. სხვა ქრისტიანებზე ერთი კვირის შემდეგ. ამ აღდგომასა ჰქვიან მრუდი აღდგომა; ეს მრუდი აღდგომა ყოველ ინდიქციონში ოთხჯერ მოდის, მაგრამ, სამოქალაქო მოძრაე წელიწადს გარდა, სომხებსა აქვთ უძრავი საეკლესიო წელიწადიცა.

სარატოვის ხაზინის გატეხა. რუსულს უწყებებში სწერენ სარატოვიდგან, რომ იქ თხუთმეტს ნოემბერს საგუბერნიო ხაზინიდგან მოუპარავთ სესხის ბილეთები ორი ათას ექვსას სამოცდა თხუთმეტი თუმნისა. იმავ წამს შეიტყვეს ხაზინის გატეხა და ყველას უკვირდა იმ სახით როგორ გაბედა ქურდმა მოპარვაო. როდესაც მოსამსახურე კაცები ჯერ კიდევ არ გამოსულიყვნენ სამსახურიდგან შუადღის უკან ორ საათზე ყარაული იქვე სამ ნაბიჯზე იდგა, რომ ქურდმა ბილთები გამოიტანა. ყარაულმა შენიშნა, რომ ვინღაც შეევიდა ხაზინის საუნჯეში, გაალო ზანდუკი, ამოიღო ერთი მუჭა ბილეთები და მსწრაფლად გამოვიდა იქიდგან. სჩანს, რომ ქურდს ძალიან კარგათ სცოდნია ხაზინის გამგეობის წესი. ზანდუკთან ნახეს ერთი კანცელარიის ჩინოვნიკის პალტოს ღილი, მაგრამ ამით კიდევ არ შეიძლება შემჩნევა, რადგან შესაძლებელია, რომ ქურდმა განზრახვით მოისხა იმ ჩინოვნიკის პალტო. ეს ჩინოვნიკი მაშინვე დაიჭირეს. იმის სადგომი და სხვა მოსამსახურეების სადგომები სასტიკათ დაჩხრიკეს. ბამომძიებელი კომისია დიდი სიმხნით ჩაუდგა კვალში ქურდსა, მაგრამ ჯერ კი ვერაფერი შეუტყვიათ.

ქაკაზის ქალენდარი 1869 წლისათვის გამოვიდა და დეკემბრის 27—დგან გაისყიდება ქაკაზისა და ტფილისის ქალენდრების რედაქციაში ლაბარატორის ქუჩაზე ისარლოვის სახლში; აგრეთვე ნამესტნიკის უმთავრესს სამართველოში და უმთავრეს სამართველოში სტმბაში; წიგნის დუქნებში უფ. ენფინჯიანცისა და უფ. ალადათოვისა; ტომსონის ლიტოგრაფიაში; სამწერლო ნივთების მაღაზიაში უფ. ნადიროვისა და აგრეთვე ქაკაზის სასწავლებლების კომისიონერებთან, უფ. ვართანოვთან.

ტფილისს გარეთ ვისაც ჰსურს დაიბაროს ეს კალენდარი, სთხოვენ მიიქცენ მხოლოდ კალენდრის რედაქციაში.

კალენდარსა აქვს: 1) ლიტოგრაფიის სათაური ფურცელი; 2) ბენ. ადუტ. ბარონი როზენის პარტრეთი, 3) აგრეთვე ფართრეთი ბენ. ოტ-იანფ. ბოლოვინისა და 4) რიგი ადგილთა განყოფილებისა ტფილისის ტიატრში.

ფასი არის 2 მანეთი (გაგზავნითაც)

ტელეგრამები

პეტერბურგი, 23 დეკემბერს. პრაგა. პოლშელები ჩეხები, სამხრეთის სლავიანებისა და მადიარების დეპუტატები აპირებენ შეკრებას პარიჟში, რომ მოილაპარაკონ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ, ვინიცობაა ასტრიასა და პრუსსიას შუა ომი მოხდეს.

პეტერბურგი, 23 დეკემბერს. ანგლიის სამინისტრო გაზეთმა მიიღო ტელეგრამმა ათინიდგან 23 დეკემბერს, სადაც არის ნათქვამი, რომ კონფერენცია ვერას უშველის ომის ატეხასაო.

ათინა, 14 დეკემბერს. აქ ომისთვის ემზადებიან. რეკრუტებს ბოჭვენ, უნდათ 35,000 კაცი დარაზმულ ჯარათ მოამზადონ და 15 ათასი დაურაზმავ ჯარათა.

კერძოლგბითნი განცხადებანი.

„ДѢЯТЕЛЬНОСТЬ“ (მოქმედობის) გასოცემაზე

„ДѢЯТЕЛЬНОСТЬ“ (მოქმედობა) არის გაზეთი საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური, გამოდის დიდ თაბახზე კვირაში ხუთჯერ.

გაზეთის დამატება შეიცავს თვეში ოთხ თაბახ თხზულებასა. ხელის მოსაწერი ფასი გაგზავნით პეტერბურგში და ხუთა ოსტეთის იმპერიის ადგილებში ერთი წლისა 8 მან. და 10 შაური ნახევარი წლისა 5 მანეთი; სამი თვისა 2 მან. და ათი შაური; ერთი თვისა 1 მან. და 2 შაური.

გაუგზავნელათ: პეტერბურგში თუ რედაქციიდგან აიღებენ, ან თუ უმთავრეს კანტორიდგან, რომელიც არის ქორაბლევის და სერიაკოვის საწიგნე მაღაზიასთან,—წლის ფასი 7 მანეთია, ნახევარი წლისა 4 მან., თვისა 4 აბაზი.; მოსკოვში თუ ულენინის საწიგნე მაღაზიიდგან მიიღებენ, ან უშაკოვის ბიბლიოთეკიდგან—მაშინ წლისა 7 მან. ნახევარი, ნახევარი წლისა 4 მან.; თვისა 1 მან.

რომელთაც მთელი წლის ფულის გადახდა ერთათ არ შეუძლიათ, იმათ ნება აქვთ ყოველ ორი თვის წინათ ორ—ორი მანეთი შემოიტანონ ხოლმე, მინამ წლის ან ნახევარი წლის ფასი შესრულდებოდეს.

შენიშვნა: ვერცხლის ფულის მაგიერათ შეუძლიანთ ფოჩტის მარკები გამოგზავნონ.

რედაქტორი და გამომცემელი

ვ. დულინსკი.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ისყიდება მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში

ჩოგბური.

ლექსების კრება

ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძისა აკ. წერეთლისა და სხვა მწერლების, გამოცემული კ. ლორთქიფანიძისაგან.

ფასი ერთი მანეთი.

გამოვიდა

სინოპტიკური

კალენდარი

1869 წლისა.

ამ კალენდარში არის: თვეების რიცხვი, აქაური და ევროპიული; მთვარის რიცხვი; ყოველი რეულის უქმეები; ყოველი სამთავრო დღესასწაულები; ფოშტის წასელის დღეები და ტელეგრაფის გასაგზავნი ფასი მთელ საქართველოში და გამოჩენილ ქალაქებში მთელი ქვეყნისა, ბზის ამოსვლის დრო ტფილისში მთელი წლისათვის და სხვ. ამ კალენდარზე არის წარმოდგენილი (ლიტოგრაფიით) ორი უმთავრესი ნაწილი ტფილისისა რომლებიც არიან შემკული სხვა და სხვა მართულებითა.

სინოპტიკური კალენდარი ისყიდება ტფილისში წიგნის მაგაზინებში ტფილისში.

უ. ბერენშტომისა, ბოლოვინის პროსპექტზე

ე. ალადათოვისა, ტეატრს უკან.

ე. მეფენდჟიანცისა, შტაბის გვერდით.

მ. მელიქიშვილის და კ. სტიმბაში, ხანის ქუჩაზე.

სინიპტიკური კალენდარი ისყიდება აგრეთვე სხვა და სხვა მაგაზინებში.

ფასი ყოველგან არის:

ქარტონზე 6 შაური.
— ვარაყით — — 8 —
— დასაკეცი — — 10 —
— ფოტოგრაფია — 3 აბაზი.

P. S. — — ტფილისს გარეშე მცხოვრებს შეუძლიანთ გამოიწეროს ფოშტით ეს კალენდარი შემდეგი ადრესით.

Рафаилу Исарлову, въ собственный домъ въ Тифлисѣ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го декабря, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.